განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №9–ში არსებულ შენობის (საკადასტრო კოდი: 01.18.04.002.004. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი) გარე ფასადზე გვსურს განვათავსოთ შიგიდან ამონათებული ბოქსი ბანერით, არქიტექტურულ ნახაზსა და ფოტომონტაჟში მითითებული ესკიზის/ვიზუალისა და ზომების მიხედვით.

როგორც მოგეხსენებათ, გორგასლის ქუჩა წარმოადგნეს ცალმხრივად მიმავალ ქუჩას, შესაბამისად შენობის კედლის ის ნაწილი, რომელზეც უნდა დამონტაჟდეს ბანერი არის ერთადერთი ადგილი, რომელიც გორგასლის ქუჩიდან ყველაზე უკეთ ჩანს და აღქმადია. ასევე ამ ნაწილში არ არის ფანჯარა, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჩვენი მხრიდან შეირჩა ბანერის განთავსების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. შემცირებულ იქნა ბანერის მოცულობა/გაბარიტები და მიუხედავად შენობის მთლიანი რეკონსტრუქციისა, აღნიშნული ტერიტორია დარჩება უცვლელი და მას რეკონსტრუქცია არ შეეხება, რაც შეთანხმებულ ესკიზშიც ნათლად ჩანს. შეთანხმებული ესკიზის მიხედვით შენობას ემატება სამანსარდე სართული, რის შემდგომაც აღნიშნული ბანერის მოცულობა ისედაც შემცირებული სახით იქნება.

